საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2023 წლის 30 იანვარი**

დისციპლინური საქმე №15/21
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2021 წლის 2 თებერვალს №15 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 2 თებერვლის 31/15-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ ინფორმაცია.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 22 მარტის №15/21 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინა 2023 წლის 30 იანვრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით, -- -- განახორციელა მოსამართლის სტატუსისათვის შეუფერებელი ქმედება, რადგანაც პირად საუბრებში მუდმივად ხაზს უსვამდა მის სტატუსს, ატყუებდა და სხვადასხვა მაქინაციის საშუალებით ცდილობდა ნასყიდობის ხელშეკრულების მისთვის სასარგებლო პირობებით გაფორმებას.

მოსამართლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია: დისციპლინურ საქმეზე 2021 წლის 25 თებერვალს, მოსამართლე -- -- მიერ წარმოდგენილია ინფორმაცია (რეგისტრაციის №63-ი), სადაც მოსამართლე უთითებს, რომ -- -- სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია საქმე №2/21274-20 (მოსარჩელე - -- --, მოპასუხე - -- --) და უფლებამოსილების ფარგლებში ითხოვს საჩივარში მითითებული ფაქტების დეტალურად შემოწმებას.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

-- -- წარმომადგენლის მიერ საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ კომპანიას დედოფლისწყაროს რაიონში გასაყიდი ჰქონდა რამდენიმე სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი. 2020 წლის ივნისის თვეში კომპანია მოლაპარაკებებს აწარმოებდა სხვადასხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან მიწის ნაკვეთების რეალიზაციის მიზნით.

მიწის ნაკვეთების შეძენის მიზნით კომპანიის წარმომადგენელს დაუკავშირდა პიროვნება, რომელიც გაეცნო როგორც -- --. საჩივრის ავტორის შეფასებით, იგი პირად საუბრებში აღნიშნავდა, რომ იყო

მოსამართლე და ამ გზით ცდილობდა თავის წარმოჩენას კომპანიის თვალში. მხარეთა შორის ნასყიდობის ხელშეკრულების პირობებზე შეუთანხმებლობის გამო მოლაპარაკება ჩაიშალა.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 22 მარტის დასკვნა:

-- -- 2021 წლის 2 თებერვლის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის სხვა ქმედება, რომელიც არ შეეფერება მოსამართლის მაღალ სტატუსს.“

მოსამართლის მაღალი სტატუსისათვის შეუფერებელი ქმედება თავის თავში მოიცავს სტანდარტებს, რომელთა პირად ან პროფესიულ ცხოვრებაში დარღვევა დამოკიდებულია საზოგადოების აღქმაზე. მოსამართლემ უნდა დაიცვას საზოგადოებრივი წესრიგი, რომელშიც შეგვიძლია მოვიაზროთ უნივერსალურად აღიარებული ფუნდამენტური პრინციპები, რომლებიც შეესაბამება ადამიანის უფლებათა პატივისცემას, რაზეც დამყარებულია დემოკრატიული საზოგადოება, პატივი უნდა სცეს საზოგადოებაში დამკვიდრებულ სოციალურ ან ზნეობრივ ნორმებს. თუმცა მოსამართლის ყველა საქციელი, რომელიც საზოგადოების ნაწილის მიერ საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობრივი ნორმების დარღვევად აღიქმება არ შეიძლება გახდეს მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობაში მიცემის საფუძველი. ქმედების გადაცდომად მიჩნევისას უნდა შეფასდეს არა მხოლოდ თავად საქციელი, არამედ თანმდევი გარემოებებიც.

მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში სამოსამართლო ქცევის ნორმების დაცვა ერთ-ერთ უმნიშველოვანეს საკითხს წარმოადგენს სასამართლოსადმი ნდობის და სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის განმტკიცების თვალსაზრისით. ყველა შემთხვევაში, მოსამართლე ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მისი ქცევა შეესაბამებოდეს დაკავებული თანამდებობის ღირსებას, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების ნდობის ამაღლებას სამოსამართლო ინსტიტუციების მიმართ.

განსახილველ საჩივართან მიმართებაში მნიშვნელოვან განმარტებებს იძლევა „მოსამართლეთა პროფესიული ქცევის მერეგულირებელი პრინციპებისა და წესების, კერძოდ, ეთიკის ნორმების, თანამდებობასთან შეუფერებელი ქცევისა და მიუკერძოებლობის შესახებ“ ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) №3 დასკვნა, კერძოდ:

- (8) ...უფლებამოსილებანი, რომლებითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი, უშუალოდ დაკავშირებულია ისეთ ღირებულებებთან, როგორიცაა სამართლიანობა, ჭეშმარიტება და თავისუფლება. მოსამართლეების მიმართ გამოყენებული ქცევის სტანდარტები გამომდინარეობს ამ ღირებულებებიდან და მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს. ამასთან, საზოგადოებრივი ნდობა და პატივისცემა სასამართლო ხელისუფლებისადმი, სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის გარანტიებს წარმოადგენს, ცალსახად ნათელია, რომ სამოსამართლო ქცევა პროფესიულ სფეროში საზოგადოების წევრების მიერ განიხილება, როგორც სასამართლოების მიმართ ნდობის განუყოფელი ნაწილი.
- (12) უფლებამოსილებანი, რითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი განისაზღვრება არა მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობით და ქვეყნის ერის სურვილით, არამედ საერთაშორისო სამართლისა და

მართლმსაჯულების პრინციპებით, როგორც ეს აღიარებულია თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ბანგალორის პრინციპების მე-3 ღირებულების თანახმად, მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს, რომ მისი საქციელი გონიერი დამკვირვებლის თვალში იყოს უმწიკვლო. მოსამართლის ქცევამ და მოქმედებამ უნდა განამტკიცოს საზოგადოების ნდობა სასამართლოს შეუვალობის მიმართ. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მოსამართლეები არ უნდა იყვნენ იზოლირებულნი საზოგადოებისგან, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, რადგან სასამართლო სისტემა სათანადო დონეზე მხოლოდ მაშინ ფუნქციონირებს, თუ მოსამართლეებს რეალურ ცხოვრებასთან კავშირი აქვთ. მოსამართლეები, როგორც მოქალაქეები, სარგებლობენ ფუნდამენტური უფლებებითა და თავისუფლებებით, რომლებიც, პირველ რიგში დაცულია ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციით.[1]

მოცემულ საჩივარში წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის შედეგად დგინდება მხოლოდ მოსამართლის სურვილი ნასყიდობის ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით. ხოლო, საჩივრის ავტორის მითითება, რომ მოსამართლე მუდმივად ხაზს უსვამდა მის სტატუსს და ცდილობდა ხელშეკრულების მისთვის სასარგებლო პირობებით გაფორმებას წარმოდგენილი მასალების საფუძველზე არ დასტურდება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მოსამართლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, კერძოდ, -- -- სასამართლოს საქმოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში არსებული საქმე №-- მასალების მიხედვით, სახელშეკრულებო ურთიერთობა არსებობდა არა მოსამართლესა და საჩივრის ავტორს შორის, არამედ -- -- და -- -- შორის.

მოსამართლის სურვილი, დადოს ხელშეკრულება მისთვის მისაღები პირობებით, მისი, როგორც მოქალაქის საყოველთაოდ აღიარებული უფლებაა, მოსამართლეებისთვის ისეთივე უფლებებია გარანტირებული, როგორც სხვა მოქალაქეებისთვის. მოცემულ შემთხვევაში, დაცულია საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის წონასწორობა და გონიერი დამკვირვებლის თვალში არ უნდა იწვევდეს ეჭვს, რომ აღნიშნული წარმოადგენს შეუფერებელ ქცევას.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[12] მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ მოსამართლე -- -- ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა. შესაბამისად, 2023 წლის 30 იანვრის

[1] ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) №3 დასკვნის (27), გვ 6.

სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრთაგან 10 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75[12] მუხლის მეორე პუნქტით დ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №15/21 შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი